



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების პარამულისრეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №69/14

2019 წლის 8 აგვისტო

ქ. თბილისი

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში - კომისია) საჯარო სხდომაზე განიხილა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ (შემდგომში - კომპანია) სახელზე გაცემულ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის საკითხი.

შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სახელზე კომისიის 2014 წლის 31 ოქტომბრის №43/4 გადაწყვეტილებით გაცემულია ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია (№127, სერია 23) და მისი სამოქმედო არეალი განსაზღვრულია ქ. თბილისში, აჭარაში, გურიაში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლში, კახეთში, მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და იმერეთში მის საკუთრებაში არსებული გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში.

კომისიაში 2019 წლის 20 ივნისს შემოვიდა შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ წერილი, რომლითაც განაწილების ლიცენზიატმა მოითხოვა მის სახელზე გაცემული ლიცენზიის მოდიფიცირება. კერძოდ, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მოთხოვნაა სალიცენზიო არეალის დაზუსტება და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სახელზე გაცემული ლიცენზიის დასახლებული პუნქტების ჩამონათვალში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლქვის დამატება.

განაწილების ლიცენზიატის განმარტებით, კომისიის 2017 წლის 22 სექტემბრის №72/25 გადაწყვეტილებით შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სახელზე ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ბოლქვში (საკადასტრო კოდი: 54.00.161) გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია, თუმცა აღნიშნული ქსელი ასევე ფარავს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლქვს და შესაბამისად, ლიცენზიატმა მოითხოვა სალიცენზიო არეალში ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლქვის დამატება.

2019 წლის 3 ივლისს კომპანიამ კომისიაში წარმოადგინა კიდევ ერთი წერილი სალიცენზიო არეალის გაფართოების მოთხოვნით, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქობულეთსა და სოფელ ქვედა კონდიდში მის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში.

კომპანიის მიერ კომისიაში წარმოდგენილია ქსელის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები (საკადასტრო კოდები), ქსელის ექსპლუატაციაში მიღების

დამადასტურებელი დოკუმენტები, შესაბამისი აუდიტის დასკვნა, ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის სქემა. შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ წარმოდგენილ წერილში აღნიშნავს, რომ ზემოხსენებულ დასახლებულ პუნქტებში არსებული გამანაწილებელი ქსელი მიერთებულია შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ გამანაწილებელ ქსელზე.

კომისიამ 2019 წლის 5 ივლისის №56/7 გადაწყვეტილებით დაიწყო შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სახელზე გაცემული ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვრა 2019 წლის 2 აგვისტო, ხოლო აქტის გამოცემის კანონმდებლობით განსაზღვრული ვადა გაგრძელდა 1 თვით და ბოლო ვადად განისაზღვრა 2019 წლის 20 აგვისტო. დღემდე კომისიაში არ შემოსულა რაიმე მოსაზრება ან წინადადება.

შეისწავლა რა წარმოდგენილი დოკუმენტები კომისია მიიჩნევს, რომ შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ მოთხოვნა საფუძვლიანია, დოკუმენტები აკმაყოფილებს „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რის გამოც იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შეტანილ იქნეს ცვლილება შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სახელზე გაცემულ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში (№127, სერია 23) და აღნიშნული ლიცენზიით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის გარდა, მისი სამოქმედო არეალი გავრცელდეს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლქვსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ქობულეთსა და ქვედა კონდიდში მის საკუთრებაში არსებული ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის ფარგლებში.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2, მე-4, მე-5, 24-ე, 25-ე, 26-ე, 31-ე და 41-ე მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 და მე-16 მუხლების საფუძველზე, აგრეთვე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 ოქტომბრის №43/4 გადაწყვეტილებით შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ სახელზე გაცემულ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიაში (სერია 23, №127) და შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობის არეალს დაემატოს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელები შემდეგი საკადასტრო კოდეტით: 20.00.418; 20.00.419; 20.00.420; 20.00.421; 20.00.422; 20.00.424.

2. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 31 ოქტომბრის №43/4 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დანართ №1-ს:

ა) 2.2.23-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2.2.24-2.2.25 პუნქტები:

2.2.24	აჭარა	ქობულეთი	სოფელი	ქობულეთი
2.2.25	აჭარა	ქობულეთი	სოფელი	ქვედა კონდიდი

ბ) 5.5.53-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 5.5.54 პუნქტი:

5.5.54	კახეთი	ლაგოდეხი	სოფელი	ქვემო ბოლქვი
--------	--------	----------	--------	--------------

3. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადებისთანავე.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი ოფიციალურად გაცნობიდან (მხარისათვის გადაცემიდან) 1 (ერთი) თვის ვადაში.

5. გადაწყვეტილებაზე კონტროლი დაევალოს კომისიის ბუნებრივი გაზის დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე - მ.შ.

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გოჩა შონია

კომისიის წევრი

